**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 282**

**ჩოხატაური** **30 დეკემბერი 2016 წელი**

ერთის მხრივ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის **გამგებელი ირაკლი კუჭავას** სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. ,,გრინ-ვეი"-ს, მისი დირექტორის ივანე ჯაყელის სახით** საინ.კოდ **406135016** (შემდგომში მიმწოდებელი) ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

**შესყიდვის ობიექტი.**

**ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიით დაზიანებული გზისათვის 50 კბმ ხრეშის შეძენა**

1.1 **დაფინანსების წყარო --- საქ.მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის N1533 განკარგულება.**
(კლასიფიკატორის CPV კოდი - 14212120
საფუძველი: სახ. შესყიდვების სააგენტოს ბრძანება N27 მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი (რაციონალური ხარჯვის პრინციპი).
შესყიდვის მეთოდი: გამარტივებული შესყიდვა
2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.
2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **600 (ექვსასი) ლარი.**
მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.
3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები.
3.1 შესყიდვის ობიქტის მიწოდების საბოლოო ვადაა **2017 წლის 25 იანვარი.**
3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ჩოხატაური
4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.
4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2017 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.**
5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია.
5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.
5.2 შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს ხარვეზები რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.
5.3 „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ხარვეზების შესახებ.
5.4 შეტყობინების მირების შემდეგ „მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას არსებული ხარვეზები.
6. ხელშეკრულების ინსპექტირება.
6.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას აწარმოებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური.
6.2 მიმწოდებელი ვალდებულია ინსპექტირების დროს უზრუნველყოს შემსყიდველი ორგანიზაცია აუცილებელი პერსონალითა და ტექნიკური საშუალებებით.
7. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარება.
7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ობიექტის მიღება ხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.
7.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ყველა ხარვეზი.
7.3 მიღება ჩაბარების აქტთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს ანგარიშ სწორებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი.
8. ანგარიშწორების ფორმები, გრაფიკი, ვადები.
8.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშწორება განხორციელდება ლარებში.
8.2 ანგარიშწორების ფორმა უნაღდო.
8.3 წინასწარი საავანსო ანგარიშწორება მოხდება საბანკო გარანტიის შესაბამისად ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა უმეტეს 30 % ოდენობით.
8.4 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბაკო ან სადაზღვეო გარანტიის ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების შესრულების ვადას.
8.5 ანგარიშწორება შეიძლება განხორციელდეს როგორც მთლიანად ასევე ეტაპობრივად. მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.
9. მხარეთა უფლება მოვალეობანი.

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს უფლებამოსილი პირის მეშვეობით განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე: -საქართველოს კანონის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

9.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს მოითხოვოს „შემსყიდველის“-აგან მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.

10.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი გადაცილებული კალენდარული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,2% ოდენობით.

10.2 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ პირსაგამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%..

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის აუცილებლობა.

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობით ფორმით, მხარეთ შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების და ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებით იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა

11.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს მაჟორი.

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე. თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიც წყალდიდობაა,ხანძარი,მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს მაჟორული სისტემის დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წარმოშობილი დავები და აზრთა სხვადასხვაობა გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმებების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებმა მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**„შემსყიდველი“ ---------------------------------------------------- ი.კუჭავა**

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი**
**საიდ/კოდი 242008705**

**„მიმწოდებელი“ ---------------------------------------------------- ვ.ჯაყელი**

**შ.პ.ს „გრინ ვეი“**
**საიდ/კოდ 406135016**
**საინდ. კოდი LBRTGE22**
**ანგ. № GE10LB0113142452041000**

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
91645918539916

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N160786975**

რეგისტრაციის თარიღი
18.07.2016 წ

ნოტარიუსი: ლია ვადაჭკორია
მისამართი: დ. ჩოხატაური, აკ. წერეთლის ქ: #1
ტელეფონი: 893329821

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

# ს ა ნ ო ტ ა რ ო   ა ქ ტ ი

**საქართველო**

ორიათას თექვსმეტი წლის თვრამეტი ივლისი,

მე, ნოტარიუსს ლია ვადაჭკორიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: დაბა ჩოხატაური, აკ. წერეთლის ქუჩა №1, მომმართა შპს "გრინ-ვეი"-ს დირექტორმა **ვანო ჯაყელმა,** მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა ბატონ **ბექა შარაშიძის** მიმართ და მოითხოვა ამ მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა. წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა:

**ვანო ჯაყელმა** – დაბ.05.11.1971 წელს, მისამართი: ჩოხატაური, სოფელი დაბლაციხე, პირადი №46001001243, ბარათის №12IA60017, გაცემული 12.09.2012 წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ.

მე, აგრეთვე შევამოწმე მისი უფლებამოსილება (ს/ნ 406135016) და ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე **ვანო ჯაყელს** და განვუმარტე მასზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მან მოიწონა მინდობილობა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მისსა და საზოგადოების ნებასა და სურვილს, რის შემდეგ, ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

# მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თექვსმეტი წლის თვრამეტი ივლისი,

**ვანო ჯაყელმა** – (დაბ.05.11.1971 წელს, მისამართი: ჩოხატაური, სოფელი დაბლაციხე, პირადი №46001001243), რომელიც შემდგომში მოიხსენიებულია როგორც „მომნდობი",

**ბექა შარაშიძეს** – დაბ. 14.09.1985 წელს, მისამართი: ჩოხატაური, სოფელი ბუკისციხე, პირადი №46001003827, გაცემული სსს ჩოხატაურის სამსახურის მიერ 01.09.2006 წელს რომელიც შემდგომში მოიხსენიებულია, როგორც „მინდობილი პირი",

მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

"მინდობილი პირი" უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას "მომნდობის", როგორც შპს "გრინ-ვეი"-ის დირექტორის ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (საკრებულო, მერია გამგეობა), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, სამინისტროებში, სააგენტოებში, საქართველოს ნებისმიერ ბანკში და მის ფილიალში და სხვა შესაბამის დაწესებულება - ორგანიზაციებში. ასევე აწარმოოს "მომნდობის" სახელით ნებისმიერი სახის საწარმოო და საბანკო ოპერაციები. კერძოდ: შპს "გრინ-ვეი"-ს ანგარიშზე შეიტანოს, გამოიტანოს, გადარიცხოს და განკარგოს თანხები ნებისმიერი ოდენობით, საჭიროების შემთხვევაში გახსნას ახალი ანგარიში, აწარმოოს დეკლარაციები, მონაწილეობა მიიღოს ტენდერებში, შეავსოს ყველა საჭირო ცნობა, დოკუმენტი, გადაიხადოს გადასახადები, ხელი მოაწეროს ნებისმიერ ხელშეკრულებებს და სხვა შესაბამის დოკუმენტებს, რომელიც დაკავშირებული იქნება საზოგადოების საქმიანობასთან და საბანკო ოპერაციების წარმოებასთან და შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა პროცედურა და მოქმედება, რაც საჭიროა მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მინდობილი პირის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მინდობილი პირის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი პირი უფლებამოსილი არის შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მომნდობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

"მომნდობი" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2017 წლის 18 ივლისამდე.

მინდობილობა გაცემულია ორის ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუს ლია ვადაჭკორიას არქივში, დანარჩენი - გადაეცა "მომნდობს".

ვანო ჯაყელი     ვანო ჯაყელი

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საზღაური, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა 10 (ათი) ლარი და სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად ამავე კანონის 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია 12 (თორმეტი) ლარი.

**ნოტარიუსი**

ლია ვადაჭკორია